



# საქართველო

## ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე



(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1, ტელ. 27-45-25)

N 160  
11/12/2019

160-06-4-201912111624



### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის დავით დარჩიას, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის - გიორგი ღურჯუმელიძის, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის ტარიელ აროშიძის და განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ლელა საჯაიას სამსახურებრივი მივლინების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თემთა მმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 66-ე მუხლის და „პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის N211 დადგენილების შესაბამისად


### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ღურჯუმელიძე, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე ტარიელ აროშიძე და განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ლელა საჯაია მივლინებულ იქნან ბორჯომში, „საბიუჯეტო პროცესის ინკლუზიურობა“, NDI-ის მიერ ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრაზე მონაწილეობის მისაღებად, 2019 წლის 16 - 18 დეკემბრის ჩათვლით (სამი დღით)
2. დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების უზრუნველყოფა.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში

„საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

დავით დარჩია



საკრებულოს თავმჯდომარე  
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

